გრასის დეზინფორმაციის ბრიფი: 2 ივლისი - 8 ივლისი

- **მმართველი პარტია ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას აკრიტიკებს;**
- **„ქართული ოცნების“ განცხადებები აშშ-ის გადაწყვეტილებაზე სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორის“ გადადების შესახებ;**
- **პროკრემლისტური ჯგუფების ანტიდასავლური ნარატივები;**
- **პროპაგანდა რუსულ აგრესიას უგულებელყოფს, ხოლო საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაში დასავლეთს ადანაშაულებს;**
- **„ალტ-ინფო“, 2021 წლის 5 ივლისის ჰომოფობიური ძალადობის ავტორი, აღნიშნულ თარიღს „გამარჯვების დღედ“ იხსენებს.**

მმართველი პარტია ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას აკრიტიკებს

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის 31-ე ყოველწლიურმა სესიამ, რომელიც ბუქარესტში, რუმინეთის დედაქალაქში, 29 ივნისიდან 3 ივლისამდე გაიმართა თემატიკით „ეუთო-ს როლი მიმდინარე უსაფრთხოების არქიტექტურაში: საპარლამენტო პერსპექტივა“, მიიღო რეზოლუცია, სადაც განხილულია რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, საქართველოს ხელისუფლების მიერ „უცხოეთის აგენტების შესახებ“ კანონის მიღება, მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები და გაზრდილი პოლარიზაცია ქვეყანაში.

- რეზოლუციის 25-ე პუნქტი „მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას შეწყვიტოს თავდასხმები სამოქალაქო საზოგადოებაზე, დამოუკიდებელ მედიაზე, აქტივისტებსა და კანონმორჩილ მომიტინგეებზე, რასაც გაფართოებული რუსული ჰიბრიდული ოპერაციის ყველა მახასიათებელი აქვს, და სანაცვლოდ, ეცადოს ქართულ სამოქალაქო საზოგადოებასთან დაახლოებას და **ქვეყანაში პოლარიზაციის შემცირებას...”**

  ე პუნქტი **„სერიოზული შეშფოთებით აღნიშნავს საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსული სტილის უცხოელი აგენტების კანონის**... მიღებას, რომლებიც ფაქტობრივად ძირს უთხრის დემოკრატიას, ახშობს დამოუკიდებელ სამოქალაქო საზოგადოებას და მედიას, ახდენს რეპრესიული სამთავრობო აპარატის კოდირებას...”

  ე პუნქტი შესაბამის სტრუქტურებს მოუწოდებს, „ერთობლივად იმოქმედონ 2024 წლის ოქტომბერში საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე ძლიერი სადამკვირვებლო მისიის შესაქმნელად, რა დროსაც ყურადღება უნდა გამახვილდეს **პოტენციური არასათანადო მოპყრობისა და ანტიდემოკრატიული ტენდენციების იდენტიფიცირებაზე,** რასაც შესაძლოა არჩევნების დღემდე დიდ ხნით ადრე ჰქონდეს ადგილი და ძირი გამოუთხაროს ხმის მიცემის სამართლიანობას.”

პუნქტი, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას ეხებოდა, რეზოლუციის თავდაპირველი ვერსია მოიცავდა ტექსტს, რომლის თანახმადაც „შერიგება რჩება თბილისის მიერ კონტროლირებად საქართველოსა და ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის პრიორიტეტად რეგიონული მშვიდობისა და ადამიანური უსაფრთხოებისთვის” - აღნიშნული ჩანაწერი საქართველოსთვის მიუღებელია. აგრეთვე, ფორმულირება “თბილისის მიერ კონტროლირებადი საქართველო, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი” მცდარ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს კონფლიქტში სამი მხარეა, ხოლო რუსეთი - არა კონფლიქტის მხარე, არამედ მედიატორია ზემოაღნიშნულ სამ მხარეს შორის.

საბოლოოდ, საპარლამენტო ასამბლეამ მის ამოღებას დაუჭირა მხარი და ის დამტკიცებული რეზოლუციის ტექსტში აღარ მოხვედრილა. მიღებული რეზოლუცია საქართველო-რუსეთის კონფლიქტთან და საქართველოს ტერიტორიის რუსეთის მიერ ოკუპაციის შესახებ საქართველოსთვის მისაღებ ჩანაწერებს შეიცავს, რომლებიც რუსულ ოკუპაციას და ოკუპაციის შედეგად ადგილზე შექმნილ მძიმე ვითარებას გმობს, ხოლო რუსეთს საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან ჯარების გაყვანისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისა პატივისცემისკენ მოუწოდებს.

მიუხედავად ჩანაწერის ამოღებისა, „ქართული ოცნება“ მაინც დაეყრდნო მას, რათა საბოლოო რეზოლუციის წინააღმდეგ ხმის მიცემა გაემართლებინა.

- პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის განცხადებით, სამწუხაროა, რომ რეზოლუციაში არაერთი გაუგებარი ჩანაწერია. კობახიძემ უარი თქვა სიღრმისეულ კომენტარზე.

- „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ირაკლი ქადაგიშვილმა რეზოლუცია შეაფასა, როგორც **„თავიდან ბოლომდე ნაკლოვანი, ქართული სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისობაში არმყოფი რეზოლუცია როგორც დეოკუპაციის, ასევე დემოკრატიულობის კუთხით.“** მან ხაზი გაუსვა, რომ ევროპის სხვადასხვა სტრუქტურა ერიდება ოფიციალურ დოკუმენტებში სიტყვა „ოკუპაციის“ გამოყენებას. რეზოლუციის ტექსტში „დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრის“ ხსენებასთან დაკავშირებით, ქადაგიშვილმა განაცხადა, რომ ევროპასა და აშშ-ში არაერთი პოლიტიკური ძალა ოპონენტს ქვეყნისთვის „ძირის გამოთხრაში“ ადანაშაულებს, თუმცა ტერმინი პ

- „ქართული ოცნების“ მორიგი დეპუტატი ბექა დავითულიანი ირწმუნებოდა, რომ როდესაც უკრაინას ეხება საქმე, საქართველოსგან ითხოვენ, რომ რადიკალურ რეზოლუციებს დაუჭიროს მხარი. თუმცა საქართველოს შემთხვევაში, „ოკუპაციის“ ხსენებასაც კი თავს არიდებენ. აგრეთვე, დავითულიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეზოლუციის ტექსტში რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე საუბრისას ტერმინი „ე.წ.“ არ გამოუყენებიათ. დეპუტატის თქმით, პუნქტი, რომელიც მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებს ეხება, მიუთითებს, თითქოს არჩევნები გაყალბდება, რაც საქართველოს დემოკრატიის დისკრედიტაციას ახდენს.

- გურამ მაჭარაშვილი, დეპუტატი და „ქართული ოცნების“ ანტიდასავლური ფრთის, მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი, ამბობდა, რომ მმართველ პარტიას „რუსული“ უწოდეს, როდესაც „ქართული კანონები მიიღო, ქართულ ინტერესები დაიცვა;“ თუმცა თავად ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს. მაჭარაშვილის შეფასებით, ეს საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ორმაგ სტანდარტზე მიუთითებს. **„ამერიკიდან გვეუბნებიან, რომ პარტნიორული ურთიერთობა უნდათ, რისთვისაც ყოველთვის მზად ვართ, და ამ დროს რუსეთის საქმეს აკეთებენ ამ რეზოლუციის მიღებით,”** - განაცხადა დეპუტატმა.

„ქართული ოცნების“ განცხადებები აშშ-ის გადაწყვეტილებაზე სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორის“ გადადების შესახებ

ივლისს, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტმა, აშშ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების ყოვლისმომცველი გადახედვის ფარგლებში, საქართველოში 25 ივლისიდან 6 აგვისტომდე მიმდინარე სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორის“ განუსაზღვრელი ვადით გადადების შესახებ განცხადება გაავრცელა. განცხადების თანახმად, გადაწყვეტილება გამოიწვია საქართველოს ხელისუფლების მცდარმა ბრალდებებმა აშშ-ისა და სხვა დასავლური ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომ თითქოს ისინი უბიძგებდნენ საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნისკენ, რათა მას უკრაინაზე ზეწოლა შეემსუბუქებინა და რომ თითქოს ისინი მმართველი პარტიის წინააღმდეგ გადატრიალების ორ მცდელობაში მონაწილეობდნენ. „ეს გადაწყვეტილება მარტივად არ მიგვიღია და დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ღირებულებას, რომელსაც ჩვენი მოკავშირეები და პარტნიორები „ღირსეული პარტნიორის“ მსგავს წვრთნებს ანიჭებენ,” - აღნიშნულია განცხადებაში. საქართველოში აშშ-ის ელჩის, რობინ დანიგანის, შეფასებით, გადაწყვეტილება „ნამდვილად დასანანია, თუმცა არა გაუგებარი.“

- **საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ჩიქოვანმა გადაწყვეტილებას გაუგებარი უწოდა** და ხაზი გაუსვა, რომ საქართელოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტს შორის თანამშრომლობის მრავალი აქტიური ფორმატი არსებობს.

- „ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის, თბილისის მერი კახა კალაძის მტკიცებით, არ არსებობს არგუმენტი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ პროდასავლურ კურსს გადაუხვია. მან განმარტა, რომ **საქართველო არასოდეს გახდება სხვა ქვეყნის ვასალი** და ვერავინ შეძლებს, საქართველოს ხელისუფლებას გადაადგმევინოს ნაბიჯი, რომელიც პრობლემური იქნება საქართველოს სახელმწიფოსთვის. ის ამტკიცებდა, რომ ვერავინ მოიყვანს მაგალითს, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ არადემოკრატიული და არაევროპული ნაბიჯები გადადგა.

- საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ გაიმეორა მოძრაობა „ხალხის ძალის“ არგუმენტი, რომლის თანახმადაც, საქართველოსა და ავღანეთს ერთნაირი სტატისტიკური მონაცემები აქვთ აშშ-ის ვიზის აღებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ფაქტი, მდინარაძის განცხადებით, საქართველოს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებისკენ მიუთითებს. მმართველ პარტიას თავისუფალი ვაჭრობა და აშშ-სთან პირდაპირი ფრენების მიღება სურს, თუმცა აშშ-სგან უკუკავშირად სამხედრო წვრთნების გადადებას იღებს. **მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ აშშ-ის გადაწყვეტილებას საქართველოს არჩევნებში ჩარევის მცდელობად არ განიხილავს, მაინც არსებობს ლეგიტიმური ეჭვი.** მდინარაძის მტკიცებით, გადაწყვეტილება გაუგებარია, რადგან საქართველო დემოკრატიის ხარისხითა და რეფორმების გატარების თვალსაზრისით მოწინავე ქვეყნების რიგებშია.

- „ქართული ოცნების“ დეპუტატის, ნინო წილოსანის, შეფასებით, ქართულ საზოგადოებას ვეღარ გააკვირვებენ განცხადებების სიმძაფრითა და განცხადებების გამკეთებლის რეგალიებით, რადგან **ბოლო პერიოდში საქართველოს მიმართ არაერთი უსამართლო განცხადება გაკეთდა.** მან გადაწყვეტილებას გასაკვირი უწოდა და აღნიშნა, რომ ის აშშ-საც დააზიანებს, რადგან სამხედრო სწავლება ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის. დეპუტატის განცხადებით, მმართველი პარტია აშშ-სა და საქართველოს პარტნიორობის განახლებას ელის. „ვისურვებდი და დავიტოვებდი

იმედს, რომ საქართველოსა და აშშ-ს ურთიერთობები უკეთესობისკენ შეიცვლება," - განაცხადა წილოსანმა.

პროკრემლისტური ჯგუფების ანტიდასავლური ნარატივები

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციასა და აშშ-სთან ერთობლივი სამხედრო წვრთნების, „ღირსეული პარტნიორის", გადადებას პროკრემლისტური ჯგუფებიც გამოეხმაურნენ.

- „ალტ-ინფოს" ეთერში, პროპაგანდისტმა მმართველი პარტიის ნარატივი გაიმეორა, რომლის თანახმადაც, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ თინა ბოკუჩავამ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე მავნებლური, ანტიქართული განცხადებები გააკეთა.

- მორიგი პროპაგანდისტის განცხადებით, ეუთო-მ ლეგიტიმურად არ ცნო საქართველოში 2003 წლის არჩევნები, რამაც „ვარდების რევოლუცია" გამოიწვია. მისი მოსაზრებით, როდესაც ეუთო არჩევნების შედეგებით კმაყოფილი არაა, მიზანმიმართულად აცხადებს მას გაყალბებულად.

- პრორუსული ტელეკომპანია „სეზონის" წამყვანი ნიკოლოზ მჟავანაძე, მმართველი პარტიის მსგავსად, ირწმუნებოდა, რომ ეუთო-მ საქართველოს სუვერენიტეტთან დაკავშირებით რიტორიკა შეცვალა, რასაც საქართველოს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ცალ-ცალკე მხარეებად ხსენებაც ადასტურებს. პროპაგანდისტის განცხადებით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მიმართ დასავლეთის დამოკიდებულებებში ცვლილებებია.

- პრორუსული პარტიის „სოლიდარობა მშვიდობისთვის" გენერალური მდივნის, თემურ ფიფიას მტკიცებით, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის განცხადება ადასტურებს, რომ აშშ და ევროპა საქართველოს იზოლაციას ისახავენ მიზნად, რადგან ეშინიათ, რომ ქვეყანა რუსეთთან ურთიერთობას აღადგენს.

- სამხედრო წვრთნების გადადება ნიკოლოზ მჟავანაძემ დადებით კონტექსტში მოიხსენია. მისი შეფასებით, ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ საქართველო აშშ-ის გავლენისგან თავისუფლდება. მჟავანაძემ ტრადიციული პრორუსული ნარატივი გაიმეორა და განაცხადა, რომ აშშ საქართველოს ღირსეული პარტნიორი არაა და 2008 წლის ომის დროს ქვეყანას ჰუმანიტარული დახმარების სახით მხოლოდ წყალი და ჰიგიენური საფენები გამოუგზავნა.

პროპაგანდისტული წყაროები განაგრძობდნენ მტკიცებას, რომ დასავლეთი, ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობასა და „მეორე ფრონტის" გახსნას ისახავს მიზნად.

- ედიშერ გვენეტაძე, რომელიც პროსახელისუფლებო არხებს ექსპერტის სტატუსით ხშირად სტუმრობს, ამბობდა, რომ საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და აყვავებული ქვეყანა გახდებოდა, „სისხლისმწოველმა

კაპიტალისტებმა“ რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების დაფინანსება შეწყვიტოს.

- მორიგი პროპაგანდისტული წყაროს თანახმად, უკრაინაში „მაიდანის რევოლუცია“ დასავლეთმა დაგეგმა, რამაც ქვეყანა განადგურებამდე მიიყვანა. დასავლეთი საქართველოშიც იმავე სცენარის მოწყობას ისახავს მიზნად - 2021 წელს, სააკაშვილის დაბრუნებაც სწორედ უკრაინულმა და დასავლურმა კონტრდაზვერვის სამსახურებმა დაგეგმეს და განახორციელეს, რათა ამჟამინდელი ხელისუფლება მოეშორებინათ.

- „ალტ-ინფოს“ გადაცემის სტუმარმა მოძრაობა „ხალხის ძალის“ ნარატივი გაიმეორა, რომლის თანახმადაც, აშშ მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს ეხმარებოდა, რათა საქართველოში ვაშინგტონის ერთგული ძალები განემტკიცებინა. ამასთანავე, ქართველ ახალგაზრდებს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით მცდარი წარმოდგენები აქვთ, ვინაიდან ზემოაღნიშნული დახმარება სწორედ საგანმანათლებლო სისტემაზე გავლენის მოპოვებას ხმარდებოდა.

- გურამ ნიკოლეიშვილი, 1990-იან წლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსი და თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ხოლო ამჟამად პრორუსული მაუწყებლობის „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ წამყვანი, იმეორებდა მოძრაობა „ხალხის ძალის“ ნარატივებს, თითქოს 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომი დასავლეთმა გააღვივა, რათა ქართველი ხალხი რუსეთს დაეშორებინა.

პროკრემლისტურმა ჯგუფებმა კვლავ გააჟღერეს ტრადიციული ნარატივი, თითქოს დასავლეთი საქართველოს ვასალურ სახელმწიფოდ, იარაღად იყენებს და საქართველო ვერასოდეს გახდება ევროატლანტიკური სტრუქტურების წევრი.

- ყოფილი მაღალი რანგის სამხედრო პირი, გელა ხუციშვილი, ირწმუნებოდა, რომ დასავლეთი საქართველოს ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნების ჩატარების საშუალებას არ მისცემს, რადგან მათი ფავორიტი მხარე დამარცხდება. სინამდვილეში, დასავლეთი საქართველოში ქაოსისა და გაუგებრობის გაღვივებას ცდილობს, რათა გავლენა შეინარჩუნოს.

- „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთი წამყვანი კონსპირირებდა, რომ თითქოს აშშ საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობას უკრძალავს და არსებულ კავშირებსაც სწორედ ვაშინგტონი განაგებს.

- მორიგი პროპაგანდისტული წყაროს თანახმად, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების დაპირებები აბსურდულია. ევროატლანტიკურმა მისწრაფებებმა საქართველო უიმედობასა და უმნიშვნელო დაპირებების უფსკრულში გადააგდო. თუმცა საპირისპირო ხდება - საქართველოსთვის დასავლური მისწრაფებების შედეგი ქვეყნის კოლაფსი, დემორალიზებული საზოგადოება და რიგი უმნიშვნელო დაპირისპირებების უფსკრულია.

პრორუსულად განწყობილი ჯგუფებისთვის საფრანგეთში არჩევნების მეორე ტურის შედეგები მანიპულაციის მორიგი საგანი იყო.

- ტელეკომპანია „სეზონის“ ეთერში, პროპაგანდისტმა საფრანგეთის არჩევნების შედეგების დაწერაში აშშ-ის სადაზვერვო სააგენტო დაადანაშაულა, რადგან, მისი

შეფასებით, არალოგიკურია, რომ „ეროვნულმა გაერთიანებამ“ პირველ ტურში ყველაზე მეტი ხმა მოიპოვა, თუმცა მეორე ტურში მესამე ადგილზე გავიდა. პროპაგანდისტების თქმით, ევროპის ქვეყნებში არჩევნების შედეგებს აშშ წყვეტს.

- იგივე ნარატივი გაიმეორა გრიშა ონიანმაც, რომლის თქმითაც, 1990-იან წლებში რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი დამარცხდა არჩევნებში გენადი ზიუგანოვის წინააღმდეგ. თუმცა აშშ-მა ხმები გააყალბა და პრეზიდენტად ელცინი დანიშნა, რადგან ეს უკანასკნელი სამართავად უფრო მარტივი იყო. გრიშა ონიანის მტკიცებით, აშშ-მა მსგავსი გეგმა საფრანგეთშიც განახორციელა და მარინ ლე პენის პარტიის გამარჯვება გააუქმა.

პროპაგანდა რუსულ აგრესიას უგულებელყოფს, ხოლო საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაში დასავლეთს ადანაშაულებს

- პროსახელისუფლებო პროპაგანდისტის, ედიშერ გვენეტაძის განცხადებით, აბსურდულია მტკიცება, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე საქართველომ რუსეთთან დიპლომატიურ კავშირებზე უარი უნდა თქვას. მისი შეფასებით, რუსეთთან მოლაპარაკებების გარეშე შეუძლებელია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე კონტროლის დაბრუნება. თუმცა დასავლეთი განაგრძობს „შარლატანობას,“ რათა, ქართველი ხალხის მოტყუებით, საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტი შეინარჩუნოს.

- მორიგმა პროპაგანდისტმა საქართველოს ტერიტორიების მიტაცებაში დასავლეთი დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ოკუპაცია დასავლეთის აგენტების - შევარდნაძის, გორბაჩოვისა და ელცინის - გამიზნული ქმედებების შედეგი იყო. პროპაგანდისტმა საქართველოს მიმართ რუსეთის ისტორიული აგრესიის მიჩქმალვა სცადა და განაცხადა, რომ „კოლექტიური დასავლეთი“ მიზანმიმართულად ნერგავს საქართველოში რუსოფობიას და აღვივებს კონფლიქტს, რათა ქვეყანა გეოპოლიტიკურ იარაღად შეინარჩუნოს.

- პროპაგანდისტმა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი საქართველოსთვის სამაგალითო ლიდერად წარმოაჩინა, რადგან რუსეთთან ურთიერთობით, ალიევმა აზერბაიჯანი წარმატებულ სახელმწიფოდ აქცია.

- ტელეკომპანია „სეზონის“ წამყვანი ნიკოლოზ მჟავანაძე ირწმუნებოდა, რომ საქართველო, უკრაინა, მოლდოვა და სომხეთი, ანუ ქვეყნები, რომლებმაც რუსეთს ზურგი აქციეს, ახლა ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების წინაშე არიან. მან რუსეთის აგრესია, მათ შორის - საქართველოს მიმართ, გაამართლა მტკიცებით, რომ როდესაც ქვეყანა აშშ-სა და ნატოსთან დაახლოებას ცდილობს, რუსეთის პასუხი გასაგებია.

- პროპაგანდისტული წყაროს თანახმად, რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას მთელი მსოფლიო ცდილობს, რადგან რუსული ბაზარი განსაკუთრებით მიმზიდველია ბუნებრივი რესურსების მაღალი მოცულობის გამო. აღნიშნულ

კონტექსტში, მიუღებელია, საქართველომ მტრული პოლიტიკა გაატაროს მოსკოვთან მიმართებით.

„ალტ-ინფო“, 2021 წლის 5 ივლისის ჰომოფობიური ძალადობის ავტორი, აღნიშნულ თარიღს „გამარჯვების დღედ“ იხსენებს

- „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთმა წამყვანმა ალექსანდრე ფალავანდიშვილმა 2021 წლის 5 ივლისი საქართველოს მტრების წინააღმდეგ „გამარჯვების დღედ“ გაიხსენა და განაცხადა, რომ ამ დღეს ქართველმა ხალხმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა „სოდომისტ მოღალატეებს.“ მისი შეფასებით, „სოდომიის პრობლემა საქართველოში“ ქვეყნის პროდასავლური კურსის შედეგია. დასავლეთში, ლგბტ მოძრაობა საზოგადოებაზე დომინირებს და უკვე ბაღებში, სკოლებში, უნივერსიტეტებსა და საზოგადოების ყველა სხვა ასპექტში შეაღწია.

- სპირიდონ ცქიფურიშვილმა, რომელმაც 5 ივლისის მოვლენები გაამართლა და „[მრევლს] ძალადობისკენ მოუწოდა,“ ამტკიცებდა, რომ 2013 წლიდან 2021 წლამდე, ლიბერალურმა სამყარომ შეძლო, შეეცვალა სურათი საქართველოში და გაევრცელებინა „ლგბტ პროპაგანდა,“ მიეთითებინა ქვეყნისთვის, რომელი კანონები მიეღო და რომლები - არა. თუმცა 5 ივლისს „ლიბერალური ლგბტ დღის წესრიგი“ შეიცვალა.

- „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი მარტინენკო ირწმუნებოდა, რომ საქართველოს ხელისუფლება გატყდა დასავლეთის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წნეხის ქვეშ, რომლებიც „ქვეყნის ღირსების მცველების“ დაკავებას ითხოვდნენ - შედეგად, „31 მოქალაქე სამარცხვინოდ დააკავეს.“ მან განაცხადა, რომ დასავლეთი ზემოაღნიშნული პირების დაპატიმრებას ითხოვდა, რათა ქართველი ხალხის მიერ „ლგბტ პროპაგანდის“ წინააღმდეგ ბრძოლა ჩაეხშო.

- მორიგი პროპაგანდისტის შეფასებით, დაგეგმილი ლგბტ მარში ლიბერალური დასავლეთის გამარჯვებას საბოლოოდ დაამტკიცებდა და საქართველოს ვასალურ სახელმწიფოდ აქცევდა. პროპაგანდისტი ამბობდა, რომ აშშ-ის სადაზვერვო სააგენტო და საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩი კელი დეგნანი პირდაპირ იყვნენ ჩართულნი ღირსების მარშის დაგეგმვაში.

- კელი დეგნანი „ალტ-ინფოს“ მორიგი წევრის სამიზნეც იყო, რომლის თქმითაც, 5 ივლისის ძალადობის დაგმობით ყოფილმა ელჩმა საქართველოში აშშ-ის ნამდვილი მიზნები გაამჟავნა - ადამიანების დარწმუნება ამერიკის გეგმებში და ქვეყანაში „ლგბტ პროპაგანდის“ გავრცელება.